ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2803930

ნომერი: AR1434787

თარიღი : 24.08.2016

გაცემის თარიღი : 29.08.2016

გაცნობის თარიღი : 29.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის დასახლება , ნაკვ. 09/110 / ქალაქი თბილისი , ფერმწერთა ქუჩა N109 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გმანიერი , მიმდებარედ , ნაკვეთი 09/104 / ქალაქი თბილისი , ფერმწერთა ქ. N111 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ტყეშელაშვილი პ/ნ 01018001173
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 9

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ფორმა კოდი: 216312915

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ სარეკლამო აბრების ზუსტი განთავსების ადგილი, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში".

- "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს ველში აიტვირთოს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, ხოლო "ფოტომონტაჟი"-ს ველში ფოტომონტაჟი. თქვენს მიერ ამჟამად ველებში პირიქით არის ატვირთული დოკუმენტაცია.

- წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი დეტალურად გაბარიტული ზომების და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით.

- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად საპროექტო შენობის მესაკუთრეა შპს "ათასწლეულის სკოლა", რომლის დირექტორსაც სამეწარმეო რეესტრის ტანახმად წარმოადგენს მოქ. აპოლონ ტყეშელაშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართეთ თქვენ მოქ. გურამ ტყეშელაშვილმა. საჭიროა "მინდობილობა/რწმუნებულების ველში" აიტვირთოს მოქ. აპოლონ ტყეშელაშვილის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე ან ასევე შესაძლებელია მოქ. აპოლონ ტყეშლაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად (ასევე გაურკვეველია ამჟამად თანაგანმცხადებლად დარეგისტრირებული მოქ. მაია ლორთქიფანიძის უფლებამოსილება ამ საკითხთან დაკავშირებით).

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.